N 4
06.02.2024

4-27-4-202402061620

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

ბრძანება

სსიპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის, პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით დოკუმენტების მიმღები აპარატის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ" და "პ" ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118 დადგენილების "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოსმიერ, ოქმი N10 29.12.2014წ.), სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 15 იანვრის N 4/01-01 და 2024 წლის 15 იანვრის N 5/01-01 ბრძანებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის, პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის დოკუმენტაციის მიმღები აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

1.1. თამარ მოკვერაშვილი - აპარატის უფროსი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი.

1.2. ანი ბანეთიშვილი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის წამყვანი სპეციალისტი.

1.3. ზურაბ გაბიჩვაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)

2. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 19 თებერვლიდან 2024 წლის 26 თებერვლის ჩათვლით, 10-დან 17 საათამდე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N1 (I კორპუსი) ოთახი N207.

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნანა გაფრინდაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი